ხელშეკრულება №--56--/გ.შ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 06 აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ივიჯი", (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ედნარ გელაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ქსელები (CPV კოდი 32400000) (შემდგომში „საქონელი"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. შესასყიდი საქონლის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი №1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 161 (ას სამოცდაერთი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. საქონლის მიღება – ჩაბარება

3.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონელისათვის.

3.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარდგენის ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
4.2. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. გარანტია

5.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი არ გამოავლენს ხარვეზებს.
5.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების შეცვლა „შემსყიდველის" მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. საქონლის მიწოდების ვადა

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2015 წლის 15 აპრილამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები „შემსყიდველისათვის" გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია 5.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობის მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2015 წლის 1 სექტემბრამდე.

13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი"
შპს „ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი" ი/მის: ქ.ბათუმი, ქათამაძის ქ. 11
ს/კ 245418392
საბანკო რეკვიზიტები: „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE70 TB7787036020100001
ტელ: 253615, 253088

დირექტორი /ჯემალ დუმბაძე/

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. „ევიჯი"
ფაქტიური მისამართი: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N66
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგ.№ GE05BG 0000000118402800
ს/კ 245439271

დირექტორი /ედუარ გელაძე/

დანართიN1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	CPV	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	როუტერი	32400000	ცალი	1	72.00	72,00
2	ვაიფაი	32400000	ცალი	1	25.00	25.00
3	ჯეკი	32400000	ცალი	30	0.50	15.00
4	ჯეკის გამაგრძელებელი	32400000	ცალი	2	2.00	4.00
5	ქსელის კაბელი	32400000	მეტრი	100	0.45	45.00
	სულ ჯამი:					161.00

დირექტორი: /ედნარ გელაძე/

სქქარმოვლო. შპს "ევჯი"
EVG
24543927
GEORGIA. "EVG" LTD